ხელშეკრულება

ქ.ახალციხე 8.05. 2019 წ.

ჩვენ, აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის მაკა ბერიძის სახით (შემდგომში-უნივერსიტეტი) და მეორეს მხრივ მეცხოველეობის ფერმა ,,ფაცო“ მისი წარმოდგენელი ნოვატორი ფერმერის იაკობი ფეიქრიშვილის სახით (შემდგომში-ფერმერი), ორივე მხარე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:**
   1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ფერმერი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სპეციალობის პრაქტიკისა და სასაწავლო კურსების სილაბუსის/სილაბუსების შესაბამისად უზრუნველყოს პრაქტიკული ტრენინგების განხორციელება მეანობა-გინეკოლოგიაში, პროდუქტიული ცხოველების მედიცინაში და ვეტერინარიულ ზედამხედველობაში.
   1.2 პროგრამის სახელწოდებაა: ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
   1.3 პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პრაქტიკული ღონისძიებები მიმართულია ვეტერინარიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვისა და მათთვის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისაკენ.

2. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები**
   2.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
   2.2 ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე.

3. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**
   3.1 **ფერმერის უფლებებია:**
   - ფერმის შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით საჭიროების შემთხვევაში დასკას პრაქტიკის გრაფიკის ცვლილების საკითხი.
   - მოითხოვოს პრაქტიკის ობიექტზე შინაგანაწესის შესრულება, დაცვა და განახორციელოს კონტროლი.
   - განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

3.2. ფერმერი ვალდებულია:

- უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით;
- გამოყოს კვალიფიციური სპეციალისტი პრაქტიკის ხელმძღვანელად;
- უზრუნველყოს სპეციალისტების მიერ სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და ჩართონ სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში;
- ნება დართოს უნივერსიტეტის წარმომადგენელს დაესწროს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესს.

3.3. უნივერსიტეტის უფლებებია:

- საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ასახოს სილაბუსებში

3.4. უნივერსიტეტი ვალდებულია:

- სასწავლო სემესტრის დაწყებისას მიაწოდოს ფერმერს, სტუდენტების სია და მათი საკონტაქტო ინფორმაცია;
- დროულად მოახდინოს ფერმერის ინფორმირება სპეციალობის პრაქტიკის პროგრამაში და სილაბუსის ცვლილების შემთხვევაში.
- დაიცვას შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

4. დასკვნითი დებულებები

- წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.
- წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მეცხოველეობის ფერმა „ფაცო“ მისამართი: ადიგენი, სოფელი არალი ნოვატორი ფერმერი: იაკობი ფეიქრიშვილი	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საიდენტიფიკაციო კოდი: 424066977 მისამართი: ახალციხე, რუსთაველის 113 რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე